



# ლოგიკური მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა

დღეს გამოცდა ჩატარდება ლოგიკურ მსჯელობასა და რაოდენობრივ მსჯელობაში.

1. ლოგიკური მსჯელობის ნაწილი შედგება 17 ტესტური დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 17.  
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.
2. რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილი შედგება 20 დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 20.  
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

გისურვებთ წარმატებას!



# ლოგიკური მსჯელობა

C ტიპის ტესტი

17 ამოცანა

დრო – 1 სთ 10 წთ

## ამოცანა 1.

მოცემულია პროგნოზი:

- მთავრობა ან შეძლებს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, ან მოუწევს სოციალური პროგრამების საგრძნობლად შეკვეცა.

ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაში შეიძლება იმის მტკიცება, რომ პროგნოზი არ გამართლდა?

- (ა) მთავრობამ ვერ შეძლო ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, თუმცა არც სოციალური პროგრამები შეკვეცა საგრძნობლად.
- (ბ) მთავრობამ ეკონომიკური ზრდა ვერ დააჩქარა და სოციალური პროგრამები საგრძნობლად შეკვეცა.
- (გ) მთავრობამ ეკონომიკური ზრდა დააჩქარა და სოციალური პროგრამები არ შეკვეცა.
- (დ) მთავრობამ სოციალური პროგრამები საგრძნობლად შეკვეცა.
- (ე) მთავრობამ ეკონომიკური ზრდა დააჩქარა.

## ამოცანა 2.

ხუთკაციან მწკრივში გვერდიგვერდ დგანან: მანანა, თეონა, ლალი, კოტე და ილია. ცნობილია, რომ:

- თეონა და კოტე არ დგანან ერთმანეთის გვერდით.
- არც კოტე და არც ლალი არ დგანან ილიას გვერდით.
- მანანას გვერდით არ დგას არც ილია და არც კოტე.

ჩამოთვლილთაგან რომელი წყვილი არ დგას ერთმანეთის გვერდით?

- (ა) თეონა და ილია
- (ბ) თეონა და ლალი
- (გ) კოტე და ლალი
- (დ) მანანა და ლალი
- (ე) მანანა და თეონა

### ამოცანა 3.

მოცემულია:

თითოეული პრინტერი ან ლაზერულია, ან ჭავლური. ამასთან, თითოეული პრინტერი ან ფერადია, ან შავ-თეთრი. ასევე ცნობილია, რომ ქენონის ყოველი ფერადი პრინტერი არის ჭავლური.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) თუ ქენონის პრინტერი ლაზერულია, მაშინ ის შავ-თეთრია.
- (ბ) ყოველი ფერადი პრინტერი ქენონისაა.
- (გ) თუ ქენონის პრინტერი ჭავლურია, მაშინ ის ფერადია.
- (დ) ყოველი შავ-თეთრი პრინტერი ქენონისაა.
- (ე) თუ ქენონის პრინტერი შავ-თეთრია, მაშინ ის ლაზერულია.

#### ამოცანა 4.

მეწარმის შესახებ ცნობილია:

*იმისათვის, რომ მემკვიდრეობა შეინარჩუნოს, მან უნდა დაასრულოს კომპანიების შერწყმა. თუმცა ის არ დაასრულებს კომპანიების შერწყმას, თუ არ დაარწმუნებს ინვესტორებს. ინვესტორთა დასარწმუნებლად კი მან აუცილებლად უნდა ჩაატაროს რესტრუქტურიზაცია.*

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) თუ მეწარმე ინვესტორებს დაარწმუნებს, მაშინ ის შეძლებს მემკვიდრეობის შენარჩუნებას.
- (ბ) რესტრუქტურიზაცია საკმარისია მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად.
- (გ) თუ მეწარმემ მემკვიდრეობა არ შეინარჩუნა, მაშინ მას ინვესტორები არ დაურწმუნებია.
- (დ) თუ მეწარმემ მემკვიდრეობა შეინარჩუნა, მაშინ მას რესტრუქტურიზაცია ჩაუტარებია.
- (ე) მემკვიდრეობის შენარჩუნება აუცილებელია ინვესტორების დარწმუნებისათვის.

## ამოცანა 5.

საჭადრაკო ტურნირში სულ 5 მონაწილე – ანა, ეკა, ირმა, ოთო და უჩა – ასპარეზობს. ყოველი მონაწილე თითოჯერ უნდა შეხვდეს დანარჩენთაგან თითოეულს. ტურნირის დაწყებიდან რაღაც მომენტში ანას ნათამაშები ჰქონდა 4 პარტია, ეკას – 3, ირმას – მხოლოდ 2, ხოლო ოთოს – მხოლოდ 1.

სულ რამდენი საჭადრაკო პარტია იყო ნათამაშები ამ მომენტისათვის?

- (ა) 4
- (ბ) 6
- (გ) 8
- (დ) 10
- (ე) 15

ამოცანები 6-7 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

კრიტიკოსი:

„მართალია, პოლარული (თეთრი) დათვების საარსებო გარემო მუდმივად ყინულოვანია და შესაბამისად – თეთრი, თუმცა ამ დათვებზე ფაქტობრივად არცერთი მტაცებელი არ ნადირობდა, პირიქით, ისინი თვითონ არიან მონადირეები. შესაბამისად, მათ არ ჰქონდათ ევოლუციური მიზეზი, რომ თეთრი შეფერილობა მიეღოთ.“

---

ამოცანა 6.

სავარაუდოდ რომელს ეყრდნობა კრიტიკოსი მსჯელობისას?

- (ა) მტაცებლებისგან უკეთ თავდასაცავად, ევოლუციის შედეგად ცხოველების გარეგნული იერი მათი საარსებო გარემოს შესაბამისი ხდება.
- (ბ) ბუნებაში ბევრი ცხოველია, რომლის შეფერილობაც არ შეესაბამება მის საარსებო გარემოს.
- (გ) შესაძლოა, რომ პოლარულ დათვებს მათი ევოლუციის პერიოდში ჰყოლოდათ მტერი უფრო დიდი ზომის ცხოველების სახით.
- (დ) პოლარული დათვი თავისუფლად გადაადგილდება როგორც ხმელეთზე, ისე ყინულოვან წყალში.
- (ე) პოლარული დათვების ევოლუციის პერიოდში მათ საარსებო გარემოში მოზინადრე სხვა მტაცებელ ცხოველებს ჰქონდათ ქათქათა თეთრი შეფერილობა.



## ამოცანა 7.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამოდგება უფრო მეტად კრიტიკოსის მოსაზრების მცდარობის დასასაბუთებლად?

- (ა) იმ ცხოველებს, რომლებსაც ბუნებრივი მტერი არ ჰყავთ, ხშირად არ სჭირდებათ ევოლუციური გარეგნული ცვლილებები გარემოსთან შეგუებისათვის.
- (ბ) გლობალური დათბობის პირობებში პოლარული დათვეების გავრცელების არეალში ყინული სწრაფად გაქრა და გარემო რუხი ფერის გახდა. მიუხედავად ამისა, მათი შეფერილობა არ შეცვლილა.
- (გ) ევოლუციის შედეგად ყველა ცხოველი არ იღებს გარემოს შესაბამის შეფერილობას. ზოგიერთი არამტაცებელიც კი მკვეთრი და კონტრასტული შეფერილობით გამოირჩევა.
- (დ) ტყის მასივებში მცხოვრებ დათვეებს მათი ბინადრობის ადგილის შესაბამისი მუქი შეფერილობა აქვთ.
- (ე) ცხოველებს ბევრად უფრო უჭირთ იმ მტაცებლების დანახვა, რომლებსაც გარემოს შესაბამისი შეფერილობა აქვთ. შესაბამისად, ევოლუციის შედეგად მტაცებლები ასეთ შეფერილობას იღებენ.

## ამოცანა 8.

კუნძულის თითოეული მოსახლე ან წრფელია (მუდამ სიმართლეს ამბობს), ან მატყუარა (ყოველთვის ტყუილს ამბობს). ამასთან, ყველასათვის ცნობილია, თუ ვინ როგორია. ამ კუნძულის ხუთმა – A, B, C, D და E – მოსახლემ შემდეგი რამ განაცხადა:

A: C არის წრფელი.

B: C არის მატყუარა.

C: E არის წრფელი.

D: B არის წრფელი.

E: ამ ორიდან მხოლოდ ერთია ჭეშმარიტი: ან C არის წრფელი, ან B არის მატყუარა.

ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნაა სწორი?

(ა) A წრფელია, ხოლო B – მატყუარა.

(ბ) A წრფელია, ხოლო C – მატყუარა.

(გ) B წრფელია, ხოლო D – მატყუარა.

(დ) C წრფელია, ხოლო E – მატყუარა.

(ე) D წრფელია, ხოლო E – მატყუარა.

## ამოცანა 9.

მოცემულია წინადადებები:

- I. ზოგიერთი მონადირე ბრაკონიერია.
- II. მონადირეთაგან ერთი მაინც არ არის ჰუმანური.
- III. არცერთი ბრაკონიერი არ არის ჰუმანური.

მოცემულთაგან რომელი წინადადება გამომდინარეობს დანარჩენი ორიდან?

- (ა) არცერთი
- (ბ) I
- (გ) II
- (დ) III
- (ე) თითოეული

ამოცანა 10.

მოცემულია სულ სამი ბარათი. თითოეულის ორივე მხარეს (აქეთ-იქით) თითო ასო არის გამოსახული. ამ ბარათების საშუალებით რიგ-რიგობით შეადგინეს ოთხი სიტყვა (ასოთა მიმდევრობა). ამ ოთხივე სიტყვის ცოდნა საკმარისია იმის ცალსახად დასადგენად, თუ სიმბოლოთა რომელი წყვილებია გამოსახული თითოეულ ბარათზე. შედგენილი ოთხი სიტყვიდან სამი იყო: ABC, CFB და DEF.



ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება ყოფილიყო მეოთხე სიტყვა?

- (ა) ADE
- (ბ) BFC
- (გ) CDE
- (დ) DBA
- (ე) ECB

## ამოცანა 11.

სარდაფში ერთ რიგში გვერდიგვერდ სხვადასხვა ფერის 5 სკივრი დგას. მათგან მხოლოდ ერთში დევს განძი. ცნობილია, რომ:

- მწვანე სკივრი უფრო მარცხნივ დგას, ვიდრე ლურჯი სკივრი.
- ყვითელი სკივრი არ დგას განძიანი სკივრის გვერდით.
- რუხი სკივრი არ დგას ლურჯი სკივრის გვერდით.
- ლურჯ სკივრსა და განძიან სკივრს შორის ზუსტად ერთი სკივრი დგას.
- წითელი სკივრი უკიდურესი მარჯვენაა. ამ სკივრსა და ლურჯ სკივრს შორის ზუსტად ერთი სკივრი დგას.

რომელი ფერის სკივრში დევს განძი?

- (ა) მწვანე
- (ბ) ყვითელი
- (გ) რუხი
- (დ) ლურჯი
- (ე) წითელი

## ამოცანები 12-14 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა

სამი მეგობარი – ლაშა, მაკა და ნანა – ეწვია გასართობ პარკს, რომელშიც სულ ოთხი ატრაქციონია: ბუსტერი, ნემესიდა, უფსკრული და ციკლონი. ცნობილია, რომ:

- თითოეული დაჯდა ერთ ატრაქციონზე მაინც.
- ვინც დაჯდა ნემესიდაზე, ის არ დაჯდა ციკლონზე.
- ერთი მაინც დაჯდა ნემესიდაზე. ასევე, ერთი მაინც დაჯდა უფსკრულზე.
- მაკა დაჯდა ციკლონზე.
- ნანა დაჯდა ბუსტერზე.
- არც ლაშა და არც ნანა არ დამსხდარან უფსკრულზე.
- არცერთი ატრაქციონი არ იყო ისეთი, რომელზეც მაკაც დაჯდა და ნანაც.

---

### ამოცანა 12.

თუ ლაშა დაჯდა ციკლონზე, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) ლაშა დაჯდა ბუსტერზე.
- (ბ) ნანა დაჯდა ნემესიდაზე.
- (გ) მაკა დაჯდა ნემესიდაზე.
- (დ) ნანა მხოლოდ ერთ ატრაქციონზე დაჯდა.
- (ე) მეგობართაგან მხოლოდ ერთი დაჯდა ბუსტერზე.

---

**ამოცანა 13.**

თუ ლაშა ორ სხვადასხვა ატრაქციონზე დაჯდა, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) ნანა დაჯდა ნემესიდაზე.
- (ბ) ლაშა დაჯდა ნემესიდაზე.
- (გ) ლაშა დაჯდა ბუსტერზე.
- (დ) ზუსტად ერთი ატრაქციონი იყო ისეთი, რომელზეც ლაშაც დაჯდა და მაკაც.
- (ე) ზუსტად ერთი ატრაქციონი იყო ისეთი, რომელზეც ლაშაც დაჯდა და ნანაც.

---

**ამოცანა 14.**

ამ მეგობართაგან რომელზე შეიძლება ითქვას დანამდვილებით, თუ რომელ ატრაქციონზე დაჯდა ის და რომელზე არა?

- (ა) მხოლოდ ლაშაზე
- (ბ) მხოლოდ მაკაზე
- (გ) მხოლოდ ნანაზე
- (დ) როგორც ლაშაზე, ისე მაკაზე.
- (ე) როგორც მაკაზე, ისე ნანაზე.

## ამოცანები 15-17 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა

საკალათბურთო ტურნირში შვიდი გუნდი – აკადემია, დინამო, კავკასია, კაკტუსი, მართვე, მგზავრები და ქუთაისი – დაიყო ორ ქვეჯგუფად: პირველ ქვეჯგუფში 4 გუნდი იყო, მეორეში – 3. თითოეულ ქვეჯგუფში ყოველი გუნდი თითოჯერ ეთამაშა ყოველ სხვა გუნდს ამ ქვეჯგუფიდან და სხვა მატჩები მათ არ ჩაუტარებიათ. ცნობილია, რომ:

- არცერთ ქვეჯგუფში არ იყო ორი ისეთი გუნდი, რომელთაც მოგებათა ტოლი რაოდენობა ჰქონდათ.
- დინამომ წააგო აკადემიასთან.
- მართვემ მოუგო ქუთაისს, თუმცა წააგო კავკასიასთან.
- მგზავრებმა ყველა მატჩი მოიგო.

---

### ამოცანა 15.

ჩამოთვლილთაგან როგორი შეიძლება ყოფილიყო პირველი ქვეჯგუფის შემადგენლობა?

- (ა) აკადემია, კაკტუსი, დინამო, მართვე
- (ბ) კავკასია, კაკტუსი, მგზავრები, დინამო
- (გ) აკადემია, კავკასია, მართვე, ქუთაისი
- (დ) აკადემია, დინამო, მართვე, კავკასია
- (ე) კავკასია, მართვე, მგზავრები, ქუთაისი



---

**ამოცანა 16.**

თუ დავუშვებთ, რომ მგზავრები და კაკტუსი ერთსა და იმავე ქვეჯგუფში იყვნენ, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელს შეეძლო მოეგო ზუსტად 2 მატჩი?

- (ა) მართვეს
- (ბ) მგზავრებს
- (გ) დინამოს
- (დ) აკადემიას
- (ე) ქუთაისს

---

**ამოცანა 17.**

თუ კავკასიამ 3 მატჩი მოიგო, ხოლო ქუთაისმა ერთი მაინც მოიგო, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) კაკტუსსა და დინამოს არცერთი მატჩი არ მოუგიათ.
- (ბ) მართვემ და აკადემიამ ორ-ორი მატჩი მოიგეს.
- (გ) მგზავრებმა და ქუთაისმა ორ-ორი მატჩი მოიგეს.
- (დ) ქუთაისმა და დინამომ თითო-თითო მატჩი მოიგეს.
- (ე) კაკტუსმა და აკადემიამ თითო-თითო მატჩი მოიგეს.

ტესტის დასასრული